



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ქართული ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

54

სანაცვლების მოხსნა ირანისათვის და  
ჩრდილოეთ/სამხრეთის ენერგეტიკული ღირებულების  
გახსნა – მოსალოდნელი შედეგები

ლიანა ჯერკვალიძე

საქართველოს აზრი



2016



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**ლიანა ჯერვალიძე**

**სანქციების მოხსნა ირანისათვის და  
ჩრდილოეთ/სამხრეთის ენერგეტიკული ღირძის  
ბაზსნა \_ მოსალოდნელი შედეგები**

**54**

**2016**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2015 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-8515-4

2015 წლის ივლისში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ირანისათვის დაწესებული სანქციები 2016 წლის იანვარში უნდა მოიხსნას. ირანის სამხედრო ნაწილები, სირიის ჯვართან ერთად,<sup>1</sup> რუსეთის ავიაციის მხარდაჭერით აქტიურად მონაწილეობენ სირიაში სახმელეთო ოპერაციებში. რუსეთ-ირან-სირიის თანამშრომლობა ნიშნავს არა მარტო ჩრდილოეთ/სამხრეთის სტრატეგიული სამხედრო ღერძის გაძლიერებას, არამედ კასპიის ზღვა-სპარსეთის ყურის სატრანსპორტო კორიდორის გახსნასაც. ირანისთვის სანქციების მოხსნა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ირანული ენერჯორესურსების გამოსვლას საერთაშორისო ბაზარზე, არამედ ირანის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოზიციის გამყარებას. ამგვარად, ირანისათვის სანქციების მოხსნა გზას გაუხსნის კასპიისპირეთის ნავთობსა და გაზს სპარსეთის ყურისა და საოკეანო სატრანსპორტო გზებისაკენ, თუმცა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს ვერც სამხრეთის გაზის კორიდორის დატვირთვაზე და ვერც საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზე.

**მოკლე ისტორიული ექსკურსი:** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კასპიისპირეთის ქვეყნების ნავთობის ექსპორტის ეკონომიკურად ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან გზად ირანი მოიაზრებოდა. ირანის სტრატეგიული მდებარეობა კასპიის ზღვასა და სპარსეთის ყურეს შორის, მისი გასასვლელი, ჩაკეტილი კასპიის ზღვიდან საერთაშორისო საოკეანო არტერიებზე, ქვეყნის ძირითად სატრანზიტო არტერიად ჩამოყალიბების წინაპირობას ქმნიდა. ყაზახური ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე გატანის პირველი პროექტი სწორედ ირანის გავლით იგეგმებოდა და მას ფრანგული კომპანია Total ლობირებდა.<sup>2</sup> ყაზახური ნავთობის ექსპორტით დაინტერესებული მხარეები<sup>3</sup> შეთანხმდნენ რუსეთის მიმართულეებაზე თენგიზის საბადოდან რუსეთის პორტ ნოვოროსისკამდე (Caspian Pipeline Consortium), რის შემდეგაც ყაზახეთ-თურქმენეთი-ირანის მილსადენის პროექტი თაროზე იქნა შემოდებული.

მოგვიანებით, 2009 წლიდან, ყაზახურ ნავთობს გზა გაეხსნა ჩინეთისკენაც, როდესაც ყაზახეთი/ჩინეთის მილსადენის სამეტაპი-

1 რუსეთი სირიაში წარმოებულ კონფლიქტში აქტიურად ჩაერთო 2015 წლის ოქტომბერში.

2 პროექტზე აქტიური ლობისტური მუშაობა მიდიოდა 1991-1993 წლებში.

3 მაშინ ფაქტობრივად რუსეთი და დასავლეთი შეთანხმდნენ, ყაზახური ნავთობი წავიდა რუსეთის გავლით, აზერბაიჯანული კი – რუსეთის გვერდის ავლით სამხრეთ კავკასიის გავლით.

ანი მშენებლობა დასრულდა. ირანზე სანქციების გამკაცრებამდე ყაზახეთი და რუსეთი ნავთობის გაცვლით ოპერაციებს აწარმოებდნენ ირანთან; სავარაუდოდ, სანქციების მოხსნის შემდეგ ეს ოპერაციები კვლავ განახლდება.<sup>4</sup> ირანის ხელისუფლება მზადყოფნას აცხადებს სანქციების მოხსნისთანავე დაიწყოს ნავთობის, გაზის და ქიმიური პროდუქციის გაცვლითი ოპერაციები თავის მეზობლებთან კასპიის ზღვაზე.<sup>5</sup> საერთაშორისო საინფორმაციო წყაროების ცნობით, ირანმა უკვე განაახლა მოლაპარაკებები აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან და რუსეთთან გაზის გაცვლითი ოპერაციების შესახებ.<sup>6</sup>

საერთაშორისო მედიანწყაროების ცნობით, ჯერ კიდევ 2012 წელს, ირანისათვის დადებული სანქციების გამკაცრებამდეც, რუსეთს, ირანსა და სირიას შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები გაზის ტრანსპორტირების ჩრდილოეთ-სამხრეთის ლერძის გახსნის თაობაზე, მისი შემდგომი გაგრძელებით სირიის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე. 2011 წლის მარტში სირიამ და ირანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ირან-ერაყ-სირიის გაზსადენის აშენების შესახებ. ზოგიერთი საერთაშორისო წყაროს ცნობით, რუსეთი სთავაზობდა ირანს რუსული, თურქმენული და, შესაძლოა, აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირებას (TANAP-ის პროექტის დამტკიცებამდე) ჩრდილოეთ-სამხრეთის კორიდორით. ამგვარად, საკითხი ეხებოდა ამ ქვეყნების გაზის ტრანსპორტირებას როგორც სირიის გავლით, მის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ისე უშუალოდ სპარსეთის ყურეში მისი შემდგომი ტრანსპორტირებით, როგორც მილსადენით, ისე თხევადი ფორმით, სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა მოლაპარაკებებს ხელი შეუშალა ჯერ 2012 ირანისათვის სანქციების გამკაცრებამ და შემდგომ – სირიაში დაწყებულმა სამოქალაქო ომმა.

**მიმდინარე მოლაპარაკებები გაზის გაცვლითი ოპერაციების შესახებ:** საერთაშორისო მედიასაშუალებების ცნობით, ირანი (სანქციების მოხსნის შემდეგ) აზერბაიჯანს, თურქმენეთს და რუსეთს სთავაზობს<sup>7</sup> გაზი მიაწოდონ ირანს ჩრდილოეთ ნაწილში და შესაბამისი რაოდენობის გაზი მიიღონ ირანის სამხრეთ ნაწილში მილ-

4 რაც ხელს არ შეუწყობს ბაქო/თბილისი/ჯეიჰანის დატვირთვას.

5 Private Sector Ready for Swap, [www.shana.ir](http://www.shana.ir) 22 April 2015

6 [www.reuters.com](http://www.reuters.com), 23 November 2015

7 Iranian Oil Minister Zanganeh, Press conference, Isna Agency, Tehran, 17 November 2015

სადენით ან თხევადი ფორმით.<sup>8</sup> ირანს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ნავთობისა და გაზის საბადოები არა აქვს.<sup>9</sup> ამიტომ ქვეყნის ინდუსტრიულად განვითარებულ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ნავთობითა და გაზით მარაგდება ქვეყნის სამხრეთში, სპარსეთის ყურეში მდებარე საბადოებიდან. სავარაუდოა, რომ სანქციების მოხსნის შემდეგ, ეკონომიკური განვითარების ტემპის ზრდასთან ერთად, ირანის ჩრდილო-დასავლეთ ინდუსტრიულად განვითარებულ ნაწილში გაზის მოხმარება გაიზრდება, რისთვისაც ირანს დაგეგმილი ჰქონდა ახალი IGAT-9 გაზსადენის აშენება.

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებისთვის გაზის გაცვლითი ოპერაციები მომგებიანი უნდა იყოს.

**ირანი:** აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და თურქმენეთიდან ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში გაზის მიღების შემთხვევაში<sup>10</sup> ირანი დაზოგავდა სამხრეთ-ჩრდილოეთის დამაკავშირებელი გაზსადენის აშენებისთვის საჭირო \$ნ მლდ.-ს, ამ რეგიონში მოხმარებული გაზის ნაწილი საექსპორტოდ გამოუთავისუფლდებოდა<sup>11</sup> ისე, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი შიდა კანონმდებლობის შეცვლა არ დასჭირდებოდა, რომელიც კრძალავს საერთაშორისო ნავთობკომპანიების მონაწილეობას ნავთობისა და გაზის მოპოვებაში; ამასთან ერთად, ირანი გაიმყარებდა პოზიციებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში.

**აზერბაიჯანი, თურქმენეთი და რუსეთი** კი მოახდენდნენ გაზის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას და თავისი გაზით სპარსეთის ყურეში მილსადენის და თხევადი გაზის ბაზარზე გავიდოდნენ; ამასთან, ეს ქვეყნებიც გააძლიერებდნენ თავის სტრატეგიულ პოზიციებს სამხრეთით, სპარსეთის ყურის ქვეყნებში.

---

8 ირანისა და რუსეთის/თურქმენეთის გაზს შორის ხარისხობრივ სხვაობას მხარეები ალბათ რაოდენობებით დაარეგულირებენ.

9 ირანი ამტკიცებს, რომ კასპიის ზღვის შეღწის თავის ნაწილში არის საბადოები, თუმცა ჯერ შესწავლითი სამუშაოები არ ჩატარებულა და რესურსების არსებობა დადგენილი არ არის (ლ.ჯ.).

10 თურქმენეთიდან ირანში შემომავალი ორი გაზსადენი უკვე არსებობს საერთო 20 მლდ.მ<sup>3</sup> გამტარობით, რუსეთ-საქართველო-სომხეთ-ირანის და რუსეთ-აზერბაიჯან-ირანის დამაკავშირებელი გაზსადენის გამტარობის გაზრდის დაფინანსება კი რუსეთის საკითხი იქნება და არა ირანის.

11 ირანის გაზი კასპიისპირეთის ქვეყნების გაზზე გაცილებით მაღალკალორიულია. სავარაუდოდ, მხარეები ირანის გაზის მაღალ კალორიულობას კასპიისპირეთის ქვეყნების გაზის გაზრდილი რაოდენობით დააბალანსებენ.

ირანმა უკვე დაასრულა ირან-პაკისტან-ინდოეთის დამაკავშირებელი გაზსადენის თავისი მონაკვეთი და როდესაც პაკისტანი თავის მონაკვეთს ააშენებს, პირდაპირი გასასვლელი ექნება როგორც პაკისტანის, ისე ინდოეთის ბაზარზე. ამავ დროს ირანი და ინდოეთი განიხილავენ ურთიერთდამაკავშირებელი საზღვაო გაზსადენის აშენების საკითხსაც.<sup>12</sup> ოფიციალური წყაროების მიხედვით, სანქციების მოხსნისთანავე ირანი დაუბრუნდება ომანთან დამაკავშირებელი გაზსადენის აშენების საკითხს და ომანის დაუტვირთავი თხევადი გაზის ტერმინალის გამოყენებას შეეცდება. ირანს დაგეგმილი აქვს და 2019 წლისთვის აპირებს 10 მლნ. ტონა წლიური გამტარობის გაზის გამათხევადებელი ქარხნის აშენებას. მოლაპარაკებებს აწარმოებს მოტივტივე გაზის გამათხევადებელი ქარხნის ან ლიზინგზე, ან შესყიდვაზე.

სანქციების გამკაცრებამდე ირანს გაზის მიწოდების შეთანხმებები ჰქონდა დადებული სპარსეთის ყურის ნაპირას მდებარე თითქმის ყველა ქვეყანასთან, გარდა საუდის არაბეთისა და კატარისა. ამასთან ერთად, თხევადი გაზის წარმოების შეთანხმებები ჰქონდა გაფორმებული რამდენიმე საერთაშორისო ნავთობკომპანიასთან. ირანის მიერ სანქციების გამკაცრებამდე დადებული შეთანხმებები ითვალისწინებს მილსადენით და თხევადი ფორმით წლიურად 152,8- 158,4 მლრდ.მ<sup>3</sup> გაზის ექსპორტს, რის განხორციელებასაც ირანი ვერ შეძლებს მოპოვების სექტორში დასავლური პირდაპირი ინვესტიციების (ტრანსნაციონალური კომპანიების პირდაპირი მონაწილეობის) დაუყოვნებლივ დაშვების გარეშე.

გაზის გაცვლითი ოპერაციები, განსაკუთრებით რუსეთთან და თურქმენეთთან,<sup>13</sup> ირანს საშუალებას მისცემდა ეწარმოებინა გარკვეული რაოდენობის გაზის ექსპორტი ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობაში რადიკალური ცვლილებების შეტანის გარეშე, რადგან ირანის კანონმდებლობა დასავლური კომპანიების მოპოვებაში დაშვებას კრძალავს.

---

12 Iran, India FMs Discuss Enhanced Ties, Gasline Project, [www.shana.ir](http://www.shana.ir) 09 December 2015

13 აზერბაიჯანს შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზის გაზი უკვე დაკონტრაქტებული აქვს, შაჰ-დენიზის საბადოზე კონსორციუმი აწარმოებს 16 მლდ.მ<sup>3</sup> გაზს, საიდანაც 6 მლდ.მ<sup>3</sup> კონტრაქტი დადებულია თურქეთთან, დანარჩენი 10 მლდ. კი ევროკავშირის ქვეყნების კომპანიებს აქვს დაკონტრაქტებული. სავარაუდოა, რომ აზერბაიჯანს დამატებითი საექსპორტო გაზი 2025 წლამდე, ახალი საბადოების გახსნამდე, არ ექნება (ლ. ჯ.).

## **სანქციებამდე ირანის მიერ წამოწყებული და ვერ განხორცილებული გაზის ექსპორტის პროექტები<sup>14</sup>**

**შეთანხმება ბაჰრეინთან:** 2007 წელს მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ბაჰრეინისთვის მილსადენით (მილსადენი უნდა აშენებულიყო) გაზის მიწოდების შესახებ. მხარეებს შორის ხშირი იყო პოლიტიკური სკანდალები, რაც ხელს უშლიდა ამ შეთანხმების შესრულებას.

**ქუვეითი:** გაზის დეფიციტს განიცდის ზაფხულში. საუდის არაბეთს, ირანს და ქუვეითს ზღვის შეღწეზე აქვთ ერთი საერთო ნავთობისა და გაზის საბადო, რომელსაც ირანში Arash-ს უწოდებენ. 2005 წლიდან ირანი და ქუვეითი განიხილავდნენ ამ საბადოს ირანული ნაწილიდან ქუვეითისთვის 3 მლრდ მ<sup>3</sup> გაზის მიწოდებას, მაგრამ შეთანხმების შესრულებას ხელი შეუშალა იმან, რომ მხარეებს არა აქვთ დემარკირებული საზღვაო საზღვარი, ამასთან, ვერც ფასზე შეთანხმდნენ. 2010 წელს ირანმა კვლავ განაცხადა საზღვაო მილსადენით (რომელიც უნდა აშენებულიყო) ქუვეითისთვის 8.5 მლრდ მ<sup>3</sup> გაზის მიწოდების შესახებ.

**ომანი:** 2005 წელს მხარეებმა მემორანდუმი გააფორმეს ომანისათვის საზღვაო მილსადენით 8 მლრდ. მ<sup>3</sup> გაზის მიწოდების შესახებ ირანის Kirsh-ის საბადოდან და საერთო Hengam-ის საბადოდან, რომლებსაც ერთობლივად განავითარებდნენ.

**არაბთა გაერთიანებული საამიროები:** ირანმა 2001 წელს საამიროების კომპანია Crescent Petroleum-თან გააფორმა 25-წლიანი შეთანხმება Salman-ის საბადოდან მილსადენით 5,2 მლრდ მ<sup>3</sup> გაზის მიწოდებას შესახებ. მილსადენის მშენებლობა დასრულდა 2008 წელს, მაგრამ მხარეები კვლავაც ვერ შეთანხმდნენ გაზის ფასზე.

ექსპორტი, რომელიც დაგეგმილია, მაგრამ მილსადენით არ განხორციელებულა, შეადგენს 20,4- 22,4 მლრდ.მ<sup>3</sup> -ს.

### **LNG-ის დაწყებული და გაჩერებული პროექტები**

ირანი 70-იანი წლებიდან ცდილობდა თხევადი გაზის ბაზაზე შესვლას. 1979 რევოლუციამ და ერაყთან დაწყებულმა ომმა ამ მცდელობას ხელი შეუშალა. NIGEC (National Iranian Gas Export Co)-ის

14 David Ramin Jalilvand, Iran's Gas Exports: Can Past Failure Become Future Success, The Oxford Institute for Energy Studies, June 2013



ცნობით, 2000 წლიდან ირანის ხელისუფლებამ მთელი ყურადღება სამხრეთ ფარსის საბადოზე **LNG-ის პროექტების** განხორციელებაზე გადაიტანა. ირანმა უკვე განახორციელა \$1,3 მლრდ.-ის ინვესტირება საჭირო ინფრასტრუქტურის განსავითარებლად (სასაწყობო ცისტერნები და სხვა), დაგეგმილი იყო ორი გამათხევადებელი ქარხნის 5,4 მლნ. ტონის (15 მლრდ. მ<sup>3</sup>) აშენება ჩინური და სამხრეთ-კორეული კომპანიების მონაწილეობით. ირანმა გათხევადების ტექნოლოგიის სერტიფიკატი გერმანული კომპანია Linde-სგან მოიპოვა, მაგრამ სანქციების გამო საქმე ვერ დაიძრა.

2010 წელს დაიგეგმა და გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა სამხრეთ ფარსის საბადოზე **LNG-ის** შემდეგი პროექტის განხორციელებისათვის: **Pars LNG(Total & Petronas) – 14 მლრდ.მ<sup>3</sup>, Iran LNG – 15 მლდ. მ<sup>3</sup> და Persian LNG(Shell & Repsol) – 22 მლდ. მ<sup>3</sup>.** სამივე პროექტი შეჩერდა სანქციების გამო. ამათ გარდა დაიგეგმა, მაგრამ წინ ვერ წავიდა სხვა საბადოებზე თხევადი გაზის პროექტები – **Golshan LNG – 14 მლდ.მ<sup>3</sup>, Lavan LNG – 3-4 მლდ.მ<sup>3</sup>, North Pars LNG – 28 მლდ.მ<sup>3</sup>, Qeshm LNG – 4,5 მლდ.მ<sup>3</sup>.**

სულ დაგეგმილი იყო და არ განხორციელებულა 100-102 მლდ. მ<sup>3</sup> თხევადი გაზის ექსპორტის პროექტი. სულ მილსადენით და გათხევადებული ფორმით დაგეგმილი იყო და ვერ განხორციელდა 152,8- 158,4 მლრდ.მ<sup>3</sup> გაზის ექსპორტი.

აზერბაიჯანს, რუსეთს და თურქმენეთს ირანთან გაზის გაცვლითი ოპერაციები სწორედ ამ პროექტებში (რომლებიც განხორციელდება) მონაწილეობის შესაძლებლობას უქმნის.

**რუსული გაზის ტრანსპორტირება ჩრდილოეთ ირანში:** სავარაუდოდ, თურქმენეთი დაინტერესებული იქნება გაზის გაცვლითი ოპერაციებით და იმ ორ გაზსადენს, რომელიც უკვე არსებობს თურქმენეთსა და ირანს შორის, თავისი გაზის ექსპორტისათვის გამოიყენებს. ამიტომ რუსული გაზის გატარებას არ დათანხმდება და ამ გაზსადენებს საკუთარი გაზის გატანის საჭიროებისთვის გამოიყენებს.

ასეთ შემთხვევაში რუსული გაზის ტრანსპორტირება ჩრდილოეთ ირანში შესაძლებელია ან რუსეთ-აზერბაიჯან-ირანის, ანდა რუსეთ-საქართველო-სომხეთ-ირანის გაზსადენით, ან ორივეთი ერთად. ამ ეტაპზე აზერბაიჯანს გაზის საჭირო მოცულობა არ აქვს იმისათვის, რომ გაზის გაცვლით ოპერაციებში ჩაერთოს,

შაჰ-დენიზის მეორე ფაზის გაზი მთლიანად არის დაკონტრაქტებული.<sup>15</sup> სავარაუდოდ, დამატებითი მოცულობების წარმოებას აზერბაიჯანი შეძლებს 2020-2022 წლიდან, როდესაც მოპოვება დაიწყება აბშერონის, ღრმა წყლის აზერი/ჩირაგი/გიუნეშლის, იუმიდ/ზაბეკის ბლოკებზე და სხვა საბადოებზე.<sup>16</sup> შესაბამისად, აზერბაიჯანს რუსული გაზის სამხრეთის მიმართულებით გატარება უახლოეს და საშუალოვადიან პერსპექტივაში კონკურენტულ საფრთხეს არ შეუქმნის.

ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის გახსნა გულისხმობს საქართველოს სატრანზიტო მილსადენების ჩართვას რუსული გაზის გადასატვირთად სომხეთის გავლით ჩრდილოეთ ირანში. რუსეთიდან საქართველოში შემომავალი რუსეთ-საქართველო-სომხეთის მაგისტრალური გამტარობის გაზრდა<sup>17</sup> რუსული გაზის მნიშვნელოვანი რაოდენობის გატარების შესაძლებლობას იძლევა.

თუ რუსეთმა ეს მოლაპარაკებები წარმატებით წარმართა ირანთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან, მაშინ სამხრეთკავკასიური (საქართველო/სომხეთისა და აზერბაიჯანის) ინფრასტრუქტურით მნიშვნელოვანი რაოდენობის გაზის (12-15 მლრდ. მ<sup>3</sup>?) გადასროლას შეძლებს ჩრდილოეთ ირანში.

ეს გარემოება საქართველოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, თუ ჩრდილოეთ-სამხრეთის მილსადენი საქართველოს საკუთრებაში დარჩება. პირიქით, დაიტვირთება ქვეყნის ინფრასტრუქტურა, ქვეყანას გაუჩნდება რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტი. სომხეთი კი, რომელიც დღემდე იზოლირებულია საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებიდან, გეოპოლიტიკურ მდგომარეობას გაიმყარებს.

---

15 აზერბაიჯანს შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზის გაზი უკვე დაკონტრაქტებული აქვს, შაჰ-დენიზის საბადოზე კონსორციუმში აწარმოებს 16 მლდ.მ<sup>3</sup> გაზს, საიდანაც 6 მლდ.მ<sup>3</sup>-ის კონტრაქტი დადებულია თურქეთთან, დანარჩენი 10 მლდ. მ<sup>3</sup> კი ევროკავშირის ქვეყნების კომპანიებს აქვს დაკონტრაქტებული (ლ.ჯ.).

16 გულშირა რზაევა, აზერბაიჯანული გაზის ევროპაში მიწოდება, პრობლემები და პერსპექტივები, ოქსფორდის ინსტიტუტის ენერგეტიკული კვლევების პროგრამა, 2015 წლის ივნისი, გვ. 49-60

17 საქართველოსა და სომხეთის ინფრასტრუქტურის გაფართოება, ირანი-სომხეთის დამაკავშირებელი გაზსადენის რევერსირება და გაფართოება.

**ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის ტრანსპორტირების ღერძის გახსნასთან დაკავშირებით აუცილებლად დგება ორი საკითხი:**

1. **სამხრეთკავკასიური გაზის კორიდორი – ხელს შეუშლის თუ არა ამ ღერძის გახსნა გაზის სამხრეთკავკასიური გაზის კორიდორის დატვირთვას?**
2. **ნიშნავს თუ არა ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის გახსნა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლას?**

**I – სამხრეთკავკასიური გაზის კორიდორის საკითხი – ხელს შეუშლის თუ არა ამ ღერძის გახსნა გაზის სამხრეთკავკასიური გაზის კორიდორის განვითარებას და დატვირთვას? – არ შეუშლის და აი, რატომ:**

აზერბაიჯანის გაზი შაჰ-დენიზის მეორე ფაზიდან დაკონტრაქტებულია სამხრეთის გაზის კორიდორში; 2020-2022 წლამდე, ახალი გაზის საბადოების ამოქმედებამდე, აზერბაიჯანში გაზის მოპოვების მნიშვნელოვნად გაზრდა მოსალოდნელი არ არის; ამიტომ ჩრდილოეთ/სამხრეთის ინფრასტრუქტურით რუსული გაზის ჩრდილოეთ ირანში ტრანსპორტირება აზერბაიჯანულ გაზს მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში კონკურენციას ვერ გაუწევს. მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანული გაზის ბაზარი არის ევროკავშირში, ამ გზით გადატვირთული რუსული გაზისა კი – სპარსეთის ყურის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.

**ტრანსკასპიურ გაზსადენს საფრთხეს ვერ შეუქმნის –** თურქმენეთს გაზის წარმოების დიდი პოტენციალი აქვს, იგი ერთადერთი ქვეყანაა რუსეთის გარდა, რომელსაც შეუძლია ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მოახდინოს გაზის ექსპორტი. ამიტომ მას ექნება გაზის ის რაოდენობა, რომ 30 მლრდ. მ<sup>3</sup> წლიურად გამოუშვას ტრანსკასპიურის მიმართულებით და 20 მლრდ.მ<sup>3</sup> გადაისროლოს ირანის მიმართულებით, გაცვლითი ოპერაციების სანარმოებლად.<sup>18</sup>

**კონკურენცია ევროკავშირის ბაზართან:** ეს გაზი ევროკავშირის ბაზრისთვის არ არის გამიზნული, მის ბაზრად სპარსეთის ყურის ქვეყნები, ინდოეთი/პაკისტანი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია

<sup>18</sup> საუბარი თურქმენეთის ენერჯეტიკის მინისტრ ხალილოვთან, რომელსაც ენერჯეტიული ქარტიის წლიური კონფერენციის დროს შევხვდი და რომელმაც დამიდასტურა, რომ ირანთან გაცვლითი ოპერაციების მიუხედავად, თურქმენეთი წლიურად 30 მლდ.მ<sup>3</sup> გაზით ტრანსკასპიურ გაზსადენსაც უზრუნველყოფს.

მოიაზრება, ამიტომ ევროკავშირის ბაზარზე სამხრეთკავკასიური გაზის კორიდორის გაზის კონკურენტად არ მოიაზრება.

**ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო ღერძის გახსნამ შესაძლოა ხელი კი არ შეუშალოს, არამედ პირიქით, ბიძგი მისცეს და დააჩქაროს ტრანსკასპიურ გაზსადენზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი.**

***II – ნიშნავს თუ არა ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის გახსნა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლას? – არ ნიშნავს.***

- საქართველოს, როგორც რუსული გაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისკენ (სპარსეთის ყურით) სატრანზიტო ქვეყნას, მეტი ზეგავლენის ბერკეტი ექნება რუსეთზე.
- სომხეთი, რომელიც აქამდე იზოლირებული იყო საერთაშორისო-სატრანზიტო პროექტებისგან, გაიმყარებდა თავის გეო-პოლიტიკურ მდგომარეობას რეგიონში და მასაც გაუჩნდებოდა რუსეთზე ზემოქმედების მეტი ბერკეტი.
- საქართველოს შეექმნებოდა გაზის მიღების წყაროების დივერსიფიცირების შესაძლებლობა და გამჭვირვალე, კონკურენტული გაზის ბაზრის ჩამოყალიბების წინაპირობა, როგორც ამას მოითხოვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ენერგოგაერთიანებასთან სრული წევრობის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებები.

მათ საყურადღებოდ, ვინც ჩრდილოეთ-სამხრეთის ღერძის გახსნას საგარეო-პოლიტიკური კურსის საფრთხედ მიიჩნევს: მაშ, რა უნდა ვთქვათ უკრაინაზე, რომელსაც რუსეთთან ომი აქვს და რუსული გაზის ტრანზიტის შენარჩუნებას ცდილობს?<sup>19</sup> თურქეთზე, რომელიც ბოლო დრომდე ცდილობდა ევროპისათვის რუსული გაზის მიწოდების უკრაინის ალტერნატივა გამხდარიყო? პოლონეთზე, უკრაინასა და სლოვაკეთზე, რომლებიც აპროტესტებენ ჩრდილოეთის ნაკადის გაფართოებას იმის გამო, რომ უკრაინა-სლოვაკეთზე გამავალი და პოლონეთზე გამავალი იამალა-1-ის გაზსადენით გადატვირთული რუსული გაზის ტრანზიტი შემცირდება? გერმანიაზე, რომელიც ჩრდილოეთის ნაკადი-2-ით ცდილობს რუსული გაზის გამანაწილებელი გახდეს ევროკავშირისათვის?

---

19 Yatsenuk Urges EU to Block Nord Stream 2 Gas Pipeline, [www.lentaru.ru](http://www.lentaru.ru) 07 December 2015

რუსული გაზის ტრანზიტის შენარჩუნებით ან გაფართოებით დაინტერესებული არც ერთი ზემოაღნიშნული ქვეყანა პრო-რუსული პოლიტიკის გატარებაში არ არის მხილებული, პირიქით, ისინი აშკარად გამოხატული ანტირუსული პოლიტიკით გამოირჩევიან. ამიტომ იმის მტკიცება, რომ საქართველოს გაზსადენების გამოყენება რუსული გაზის ჩრდილოეთ ირანში ტრანზიტისთვის აუცილებლად მიუთითებს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსისა და ორიენტაციის შეცვლას რუსეთის სასარგებლოდ, საფუძველს არის მოკლებული.